**ხობს დაბინძურებული წყალი მიეწოდება** გვ. 3

**ირაკლი ცაავამ ფოთელი მაყურებელი აღაფრთოვანა** გვ. 6

**პოლონური გამოცდილება ქართველ მედიაგამომცემლებს** გვ. 3


# მთავარი თემა სამეგრელოში

ფასი 50 თეთრი | № 15 10 – 17 მაისი 2015 წელი\ | გამოდის საშუაბათობით


**ფოთში მე-7 კილომეტრზე მდებარე ხიდს პრობლემები არ ელევა** გვ. 3

**ფოთში პროფკავშირის ძალისხმევით ბაღებში დასაქმებულებმა მომატებული ხელფასები მიიღეს** გვ. 4.

**მამუკა ჭოხონელიძე: ,,ვინც საქმეს აკეთებს, შეცდომებსაც ის უშვებს,,** გვ. 5

**ფოთში 400- მდე აბიტურიენტი და პირველკლასელი დარეგისტრირდა** გვ. 5

**ფოთში მეგა-პორტის მშენებლობა იგეგმება** გვ. 2

**გლეხი თუ ფერმერი?** გვ. 4


**შენ ჯერ ეგ არ გინახავს?**



**აქ გვიპოვი ჩვენ**

www.msnews.ge


# სოციალურად დაუცველი დახმარებას ითხოვს

**ეკა კაცია**
**ფოთი**

საქართველოში სოციალურად დაუცველთა რიცხვი, სამწუხაროდ, კატასტროფულია და კი არ იკლებს, იმატებს კიდევ. ერთ-ერთმა სოციალურად დაუცველმა ქალბატონმა ირინა ხუბუნაიამ რედაქციაში მოგვმართა თხოვნით, გაგვეშუქებინა მისი პრობლემა. როგორც მან გვითხრა, ძალიამ მძიმე სოციალური პრობლემები გააჩნია, არც სახლი აქვს და არცსამუშაო. დახმარებისთვისაც ყველა ინსტანციისთვის მიუმართავს, მაგრამ ამაოდ: "23 წელი ვიმუშავე პორტში, მერე შემამცირეს და დავრჩი უმუშევარი. საკუთარი სახლიც მქონდა, მეუღლეს გაცილებული ვარ. ერთი ვაჟი მყავს. შვილი სამხედრო სამსახურში კონტრაქტით წავიდა, მაგრამ ავადმყოფობა აღმოაჩნდა და დააბრუნეს უკან. იძულებული გავხდი, მკურნალობისთვის სახლი გამეყიდა სასწრაფოდ. დედა ვარ და შვილის ჯანმრთელობა ყველა და ყველაფერზე წინ დგას. გავყიდეთ სახლი 5000 § -ად და შვილს ვუმკურნალე. მერე ვაპირებდი ერთოთახიანი ბინის დაგირავებას მაინც, მაგრამ ვერ მოვასწარი, ბინებზე ფასებმა იმატა და დავრჩით ქუჩაში. თუ რამე გამაჩნდა ავეჯი, ნივთები ყველაფერი გავყიდე, ხან ერთმა ნაცნობმა შემიწყალა, შემიშვა სახლში და ხან ვინ. ასე 8 წელია, ნაქირავებში ვარ, ქირასაც დროზე ვერ ვიხდი, ვცადე სოციალური დახმარებისთვის მიმემართა და დამეწერა განცხადება, რამდენიმე წელი მეძლეოდა სოც. დახმარება, მერე ძმა დამეღუპა. ავადმყოფი დედა მარტო დარჩა სენაკში და მასთან დროებით გადავედი, რომ მომევლო სოციალური დახმარებაც შესაბამისად გადავიტანე სენაკში. დედასაც ეძლეოდა სოც. დახმარება. მერე ფოთში ვითხოვე ერთჯერადი დახმარება, მაგრამ მითხრეს, შენ სენაკელი ხარ, წაბრძანდი და სენაკში იცხოვრეო. იმის დამტკიცება დამჭირდა, რომ ფოთელი ვიყავი. დედა უკეთ რომ გახდა, წამოვედი ფოთში, რომ წამოვედი სოციალური დახმარება შეჩერებული ყოფილა, დავაგვიანე საცხოვრებელი მისამართი მიმეთითებინა. მოვნახე და დავიქირავე ბინა, მეპატრონემ ქირის თანხა 80 ლარი მითხრა. ავუხსენი ჩემი მდგომარეობა, რომ ამ თანხას ვერ გადავიხდიდი. შევთანხმდით, რომ სოციალური დახმარების თანხიდან გადავუხდიდი. მაქვს დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომ მომენიჭა დაბალი ქულა. შემექნა პრობლემა, ვერ გადავიხადე სახლის ქირა და მეპატრონე მთხოვს, დავცალო მისი სახლი. ნივთები შეკრული მიდევს, მაგრამ სად წავიდე, არ ვიცი. განცხადებით მივმართე სოც. დახმარების სააგენტოს, აგენტიც მოვიდა, აღწერა გააკეთა და მითხრა, პასუხს 1 თვე დაელოდე და მოგვაკითხეო. მივაკითხე და მითხრეს, რომ არ მომეცემა სოციალური დახმარება. ამის შემდეგ მივმართე მერიის ჯანდაცვის სამსახურის უფროსს მაია მაკალათიასაც, დამაწერინა წერილი და უნდა გააგზავნო თბილისშიო, მაგრამ ამის გასაგზავნი ფულიც არ მაქვს, ისეთ დღეში ვარ. იქედანაც რა პასუხიც მოვა, არ ვიცი და მანამდე კი მოვკვდები ალბათ, არაფერი მაბადია. მირჩიეს ახლობლებმა, რომ მივსულიყავი ისეთ საცხოვრებელ სახლებში, სადაც ფართებია და ჩასახლებულები არიან მოქალაქეები. მივედი ნანავას ქუჩის №1-ში არსებულ საზღვაო ძალების ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში, სადაც მოკავებული

გაგრძელება 5-გვ.

გამომცემელი და დირექტორი,
მთავარი რედაქტორი
ინგა გვასალია - 599 341 417;
ingagvasalia@gmail.com

რედაქტორი
მარი ჯავახია - 579 241 122

დისტრიბუციის სამსახური
ეკა კაცია
568 84 57 40

კორესპონდენტები:

ეკა კაცია
(ფოთი)
568 84 57 40

ქეთი ჭითავა(სტაჟიორი)
598 21 20 11

ივეტა პაჭკორია
(ხობი)
568 61 04 41

გამოქვეყნებული მასალის შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. სტატიის ავტორები თავად აგებენ პასუხს ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიო მასალები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები არ მიიღება.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

2013 წლის ბოლოდან 7 % -ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის



ვარდნა მყარია. და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი -2 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,4 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

# ფოთში მეგა-პორტის მშენებლობა იგეგმება

**მარი ჯავახია**
**ფოთი**

ამის შესახებ როგორც პორტის ადმინისტრაციიდან გვატყობინებენ 2015 წლის 29 მაისს თურქეთში, სტამბოლში გამართულ “შავი ზღვის პორტებისა და გადაზიდვების” ყოველწლიურ, რიგით მე-4 კონფერენციაზე განაცხადა „ეიპიემ ტერმინალს ფოთის“ გენერალური დირექტორის მოადგილემ ჯოზეფ ქროულმა. სადაც მან ფოთის პორტის, როგორც შავი ზღვის, ხმელთაშუა ზღვისა და ცენტრალური აზიის კომერციული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი კარიბჭის უპირატესობებსა და ხელსაყრელ პირობებზეც ისაუბრა.

მისი თქმით „პორტის ინფრასტრუქტურისთვის განხორციელებული ინვესტიცია ხელს შეუწყობს მომავალში კარიბჭის მოცულობის ზრდას, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია საქართველოსთვის გლობალური სავაჭრო პარტნიორობის თვალსაზრისით.ეს იქნება ინფრასტრუქტურული ინვესტიციის გრძელვადიანი სარგებელი ფოთის მრავალმიზნობრივ, ღრმაწყლიან ნავსადგურში რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს, კავკასიისა და ცენტრალური აზიის მომსახურებას“.

2011 წლის აპრილში, „ეიპიემ ტერმინალსმა“ შეისყიდა საქართველოში ყველაზე დიდი პორტი - „ფოთის საზღვაო ნავსადგური“ რომელსაც მრავალმიზნობრივი დანიშნულება აქვს. ნავსადგურში სულ 15 ნავმისადგომია, სადაც ხდება ყველანაირი სატვირთო მომსახურების, მათ შორის რო-რო სერვისის განხორციელება. ნავმისადგომების მთლიანი სიგრძე შეადგენს 2,900 მეტრს, სადაც 20-ზე მეტი საპორტო ამწეა განლაგებული. სათავეში მოსვლის დღიდან, „ეიპიემ ტერმინალსმა“ უზრუნველყო 70 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ინვესტიციის განხორციელება მოძველებული საპორტო ინფრასტრუქტურის, საბაჟო ცენტრის, სარკინიგზო და საავტომობილო გზების და სერვისის განახლების მიზნით.

მარცვლეულის გადამამუშავებელი ტერმინალი (500,000ტონა - წლიური მწარმოებლურობის შესაძლებლობით) გაიხსნა 2013 წლის მაისში, რომელიც წარმოადგენს ცენტრალური აზიის ხორბლის ექსპორტისთვის ალტერნატიულ მარშრუტს შავი ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის რეგიონებში.

2014 წელს, საქართველოს პორტებში, კონტეინერების საერთო ტვირთბრუნვამ დაახლოებით 480,000თ შეადგინა, საიდანაც 80% ანუ 385,000თ ფოთის პორტზე მოდის. 2015 წელს, ფოთის პორტი გეგმავს 8 მილიონი ტონა ტვირთისა და 400,000თ კონტეინერის გადამუშავებას, 1,300-ზე მეტი გემის შემოსვლით პორტში.

**ფოთის პორტის სანაპირო**

„ეიპიემ ტერმინალს ფოთმა“ დაასრულა პორტის გენერალური გეგმის დეტალური შესწავლა,რომელიც ითვალისწინებს მომავალში მზარდი ტვირთნაკადის მიღებას და ტრანსპორტირებას როგორც საქართველოს, ასევე მეზობელი ქვეყნების სომხეთისა და აზერბაიჯანის გავლით.

გასულ წელს, სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის მშენებლობის დასრულებით, „ეიპიემ ტერმინალსმა“ გადადგა პირველი ნაბიჯი ფართო-მასშტაბური პორტის გაფართოების პროექტის განხორციელებისკენ. გაფართოების გეგმის მომდევნო ეტაპი, რომელიც სავარაუდოდ 2018 წელს დასრულდება, მოიცავს ორი ახალი ღრმაწყლიანი ნავმისადგომის მშენებლობას, სადაც წლიური გამტარუნარიანობა იქნება ერთი მილიონი თ , ხოლო ნავმისადგომზე შესაძლებელი იქნება 9,000თ სიმძლავრის გემების მიღება.

დაგეგმილი ახალი ნავმისადგომები, რომლებიც უნდა აშენდეს არსებული სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალის წინ, საშუალებას მისცემს გაფართოებულ ღრმაწყლიან მეგა-პორტს სრულად გამოიყენოს არსებული ტერმინალი, სამანქანო გზა და სარკინიგზო ინფრასტრუქტურა. პროექტის დასრულების შემდგომ, ფოთის მეგა-პორტის წლიური ტვირთბრუნვის სიმძლავრე იქნება 50 მილიონი ტონა და 2 მილიონი თ კონტეინერი. ფოთის მეგა-პორტში, რომლის სიღრმე იქნება 16 მეტრამდე, შესაძლებელი გახდება შავ ზღვაში მოძრავი ყველაზე დიდი გემების შემოსვლა.

„ფოთის მეგა-პორტის მშენებლობა განაპირობებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ასევე სავაჭრო საქმიანობის ხელშეწყობას პორტში, ქვეყანაში და შესაბამისად რეგიონში“ განაცხადა ქროულმა.

# პოლონური გამოცდილება ქართველ მედიაგამომცემლებს

**მარი ჯავახია**
**ფოთი**

პოლონურმა ფონდმა „განათლება დემოკრატიისათვის“ თემაზე “ადგილობრივი ინფორმაციული პორტალი, როგორც ცალკეული მედიაპროდუქტი” სამდღიანი ტრენინგი ქართველი რეგიონული გაზეთების გამომცემლებისთვის და ჟურნალისტებისთვის თელავის მედიაკაფეში გამართა. უკვე რამდენიმე წელია, პოლონელი ჟურნალისტების გარკვეული ჯგუფი აქტიურად თანამშრომლობს ქართველ კოლეგებთან და ადგილობრივი გაზეთების განვითარებისთვის სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს პოლონეთის ორგანიზაცია “ასოციაცია დემოკრატიული აღმოსავლეთი”. მასში მონაწილეობს საქართველოს 11 რეგიონის გაზეთი. პროექტის ფარგლებში პოლონელი და ქართველი რედაქტორ-გამომცემლები ყოველწლიურად ხვდებიან ერთმანეთს და პოლონელი ჟურნალისტები საკუთარ გამოცდილებებს უზიარებენ ქართველ კოლეგებს. ეს შეხვედრაც ამ პროექტის გაგრძელება გახლდათ. ტრენინგებს პოლონეთის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილობრივი გაზეთის ჟურნალისტი, ფონდის პროექტის კოორდინატორი აგნეშკა ნოვინკა უძღვებოდა, მასთან ერთად პოლონეთის ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის, კვირეული „პშელომის“ და ასევე პორტალ „პრზელომ.პლ”-ის გამომცემელი, ადგილობრივი გაზეთების ასოციაციის თავმჯდომარე, აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიაში განხორციელებული მედია- პროექტების ექსპერტი ალიცია მოლენდა და ასოციაცია „დემოკრატიული აღმოსავლეთი“-ს ტრენერი, პოლონეთისა და აღმოსავლეთ ევროპის, ყირგიზეთის, საქართველოს ადგილობრივი და რეგიონალური მედიის განვითარების სატრენინგო პროგრამების თანაავტორი მარჩინ ბანკი. საქართველოში პროექტის პარტნიორი კავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ცენტრი გახლავთ. საქართველოს 11 რეგიონის ჟურნალისტებთან ერთად ტრენინგში „მთავარი თემა სამეგრელოში“-ც მონაწილეობდა. შეხვედრის საკითხები მკითხველის გაცნობა, მისთვის ინ-

**ტრენერები: ალიცია მოლენდა და მარჩინ ბანკი**

ფორმაციის მიწოდება გახლდათ, ასევე ადგილობრივი გაზეთის გამოცემისა და ინტერნეტ პორტალის მუშაობის ერთმანეთთან შეთავსება. ტრენერებმა ქართველ კოლეგებს გააცნეს როგორ უნდა უზრუნველყონ გაზეთში დაბეჭდილი რეკლამის პორტალზე განთავსება და პირიქით. განიხილეს სხვა საკითხებიც. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ ტრენერები არა მარტო თეორიულ, საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებასაც უზიარებდნენ ქართველ კოლეგებს.

შეხვედრისას პოლონური ფონდის კოორდინატორმა აგნეშკა ნოვინკამ როგორც აღნიშნა, ადგილობრივ გაზეთებს მნიშვნელოვანი როლი უკავიათ ქვეყნის დემოკრატიზაციის პროცესში. მათ უნდა გააშუქონ არსებული პრობლემები, რაც ადგილობრივ მოსახლეობას აინტერესებს. მიაჩნიათ, რომ ადგილობრივი მედია უდიდეს როლს ასრულებს დემოკრატიის განვითარებაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოლონურმა ფონდმა ისევ, უკვე მეორედ, გამოაცხადა კონკურსი პროექტის მონაწილე ადგილობრივი გაზეთებისათვის რამდენიმე ნომინაციაში, რაც დიდი სტიმულია რეგიონის ჟურნალისტებისათვის, პორტალის მუშაობის გაუმჯობესებისთვის, რათა შექმნან მაღალი ხარისხის ფოტო-ვიდეო მასალები თუ ნიუსები. გამარჯვებულები ჯილდოვდებიან როგორც ციფრული ტექნიკით, ასევე - პოლონეთში სტაჟირებით.

# ხობს დაბინძურებული წყალი მიეწოდება

ივეტა პაჭკორია
ხობი

რამდენიმე დღის წინ სოფელ პირველ ხორგაში ონკანიდან საშინლად დაბინძურებული წყალი წამოვიდა, უფრო სწორად წყლის ნაცვლად რაღაც გაურკვეველი შემცველობის სითხე. სოფელს წყალი ადგილობრივი ჭაბურღილიდან გრაფიკით მიეწოდება. თუჯის მილები რამდენიმე ადგილას დაზიანებულია, რის გამოც ბინძურდება სასმელი წყალი და, რა თქმა უნდა, ეს ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს. თავად ავიღე წყალი ონკანიდან და წყლიანად გაერთიანებული წყალმომარაგების ხობის ფილიალს ვესტუმრე. როგორც გავარკვიე ხობში იცვლება სასმელი წყლის მილები, მაგრამ მიმდებარე სოფლებში შეიცვლება თუ არა დაზიანებული და მოძველებული მილები, ამის შესახებ ინფორმაცია უცნობია. წყალმომარაგების სამსახურის უფროსი საკმაოდ კარგ განწყობაზე გახლდათ და როგორც მითხრა: "ჩვენთან ყველაფერი კარგადაა, მგონი ცუდი არაფერი ხდება. ამჟამად მიმდინარეობს მილების გამოცვლა. ხობში სასმელი წყლის მილების 80% იცვლება. სამუშაოებს გერმანული ფირმა „ფაიფერი" ახორციელებს. ზედამხედველებიც უცხოელები არიან, ძალიან კარგად მუშაობენ, ოდნავ გადაცდომას არ პატიობენ მუშებს და სათანადო კონტროლს უწევენ მუშაობას. მიმდებარე სოფლებში ჯერჯერობით არ იცვლება მილები. როდის მოხდება, ეს საპროექტოს უნდა დაეკითხოთ, რადგან მილების გამოცვლას ხობში ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი და მოიცავს მხოლოდ ქალაქს. აღნიშნული პროექტი 2011 წელს გაკეთდა და ჩემი აზრით არასწორად იყო შედგენილი, რადგან დღემდე ხდება ამ პროექტში ცვლილებების შეტანა. სოფელ გურიფულში დარჩენილია 900 მეტრი, სადაც არ არის მილები, გაგზავნილი გვაქვს წერილი, რათა მოხდეს ამ მონაკვეთზე მილების ჩაყრა, რის შემდეგაც პირველი ხორგა და შუა ხორგა მიუერთდება ხობის მაგისტრალს, მაგრამ როდის მოხდება ეს, კომპანიის უფროსის გადასაწყვეტია".

წყალმომარაგების უფროსს არანაირი ინფორმაცია არ გააჩნდა პირველი ხორგის წყლის დაბინძურების შესახებ და როგორც გვითხრა, წყლის სინჯებს ყოველკვირეულად იღებენ და აგრეთვე სურსათის უვნებლობის სამსახურიც დადის თურმე სინჯებზე. "როგორც ვიცი, წყალს არა უშავს"- მეუბნება მე, რომელსაც ხელში ბოთლით საკუთარი ონკანიდან მომდინარე, მე ვიტყოდი, "საშინელება" წყალი მიჭირავს. ვკითხე კიდეც, რა სითხე იყო მოთავსებული ბოთლში. ხობის წყალკანალში პასუხის გაცემა გაუჭირდათ, რადგან, როგორც გითხარით, ეს სითხე სასმელ წყალს ნამდვილად არ გავდა, რისი უარყოფა არც მათ უცდიათ. „ეს რა არის, ეს წყალი ნამდვილად არ არის და საიდან მოიტანეთ? რამდენი ხანია რაც ამ ონკანში წყალი არ გადის? დამაყარეს კითხვები და გაურკვეველი შემადგენლობის სითხის დათვალიერება განაგრძეს. ისიც გაუკვირდათ, მრიცხველის ფილტრმა როგორ გაატარა ასეთი სიბინძურე. საუბედუროდ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული „ფილტრი" უკვე აღარავის უყენია, რადგან ფილტრი წყალს არ ატარებდა და მოსახლეობამ ჯერ კიდევ მრიცხველის დალუქვამდე მოხსნა. „მრიცხველის ფილტრი იწმინდება და ისევ უნდა დაყენდეს"- "დამარიგა" ბატონმა ხვიჩამ, მაგრამ სამწუხაროდ, ის ფილტრი შემდეგი მოხმარებისათვის უვარგისია. თუმცა, ფილტრმა ეს სიბინძურე რომც არ გაატაროს, წყალი ხომ უკვე დაბინძურებულია და მისი მოხმარება მაინც დაუშვებელია? დიახაც რომ, ამ სითხეს არ შეიძლება წყალი ეწოდოს, მაგრამ სწორედ ასეთი "წყალი" მოდის ჩემს და არა მარტო ჩემს ონკანში, თან ძალიან ხშირად. "ეს წყალი არათუ დასალევად, ტექნიკურადაც არ ვარგა. მე დავრეკავ ლაბორატორიაში და გავარკვევ, როდის აიღეს პირველ ხორგაში წყალი. ვიცით, რომ იქ ქლორიდები დასაშვებ ზღვარზე ცოტათი მეტად არის აწეული, მაგრამ ეს უკვე ტალახია. მალე ხორგაც ხობს დაუერთდება და სიტუაცია რადიკალურად შეიცვლება. როდესაც 24 სთ არ არის წყალი, მილი რაც უნდა კარგ მდგომარეობაში იყოს, თან იქ თუჯის მილებია, ხინჯი მაინც წამოყვება. ყველა ქვითარს უკანა მხარეს აწერია ცხელი ხაზის ნომერი, აბონენტმა დაზიანების შემთხვევაში უნდა დარეკოს ცხელ ხაზზე, ეს ზარი შედის ქოლცენტრში, შემდეგ ხდება ჩვენთვის ინფორმაციის მიწოდება და სამი დღის განმავლობაში უნდა მოხდეს დაზიანებული ობიექტის შეკეთება. ასევე შეუძლიათ ჩვენც მოგმართონ. მილები ძველია და მოსახლეობამ უნდა გვაცნობოს, თუ სადმე დაზიანებაა"- მითხრა წყალმომარაგების სამსახურის უფროსმა.

ხობის წყალკანალის უფროსი

ერთერთი ასეთი დაზიანების შესახებ ბატონ ხვიჩას თავად მოვახსენე, დაზიანებული მილიდან წყალი არხში ჩაედინება, წყლის მიწოდების შეწყვეტის შემდეგ კი, ის სიბინძურე რაც მილს ზემოთ არის დაზიანებულ მილში ჩაედინება და შემდეგ ჩართვაზე ონკანიდან ჩვენს ჭურჭელში ხვდება. ბატონი ხვიჩა საავარიო ბრიგადის გამოშვებას დამპირდა. საღამომდე ვითარება რომ არ შეიცვალა, ისევ დავურეკე: „ახლა უკვე გვიანია, ხვალ და ზეგ (შაბათი და კვირა) არასამუშაო დღეებია და ორშაბათს დილით შეაკეთებენო"- დამპირდა. ორშაბათ დილით მართლა შეაკეთეს დაზიანებული მილი. ახლახან სოფლის წყლის რეზე-

დასასრული 4- გვ.

# ფოთში მე-7 კილომეტრზე მდებარე ხიდს პრობლემები არ ელევა

ეკა კაცია
ფოთი

წლებია, სენაკი-ფოთის გზის მე-7 კილომეტრზე არსებულ ხიდის პრობლემები ბოლომდე ვერა და ვერ მოგვარდა. ჩვენც წლების განმავლობაში რამდენიმე სტატია მივუძღვენით ამ თემას. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამჟამად არ მუშაობს ძრავების უმრავლესობა, რაც ხელს უშლის მდინარე რიონის შესვლას ზღვაში. ამან კი როგორც სპეციალისტები ამბობენ გამოიწვია სანაპიროს ჩარეცხვა და ზღვამ რამდენიმე ათეული მეტრი მიწის მონაკვეთიც "დაისაკუთრა". რა ღონისძიებები ტარდება ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად, ამის გასარკვევად მივმართეთ ფოთის მერის მოადგილეს გოგა მოისწრაფიშვილს. მან როგორც აგვიხსნა: "წინათ რიონი გადმოდიოდა კუნძულის უბანში. გაზაფხულის პერიოდში წყალჭარბიანობის გამო იტბორებოდა მიმდებარე ტერიტორიები. შესაბამისად, გასული საუკუნის შუა წლებში გაკეთდა პროექტი, რომ ძირითადი ტოტი გადაეგდოთ და ქალაქისთვის აევლო გვერდი. ამისათვის მე-7 კილომეტრზე შეიქმნა ეს ჰიდროტექნიკური ნაგებობა, გაკეთდა ნაბადის ახალი არხი და ძირითადი ჭარბი წყალი გაუშვეს ნაბადის შემოვლით. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში არსებობდა სამსახური, რომელიც ამ ხიდის ფუნქციონირებას ხელს უწყობდა. იყო წყალთამეურნეობის ინსტიტუტი, რომელიც გეგმას დებდა, რა ინტენსივობით ემუშავათ ამ დამბებს. ჩვენი ქალაქის მიმართულებით 20 დამბაა ჩამკეტი, ნაბადის მიმართულებით 10 დიდი დამბა და აქ მათემატიკური გათვლებია საჭირო, ამ ნაკადზე რამდენი უნდა იყოს ღია და რამდენი დაკეტილი, ანუ ამას ინტელექტუალური შრომა სჭირდება. ეს არ არის მხოლოდ მოტორის აწევ-დაწევა, ეს ყველაფერი გაუქმდა და ბოლო 10 წელიწადია მიტოვებულია. ეს ხიდი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაში გახლავთ. ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ არის, უბრალოდ გასასვლელია. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში მთლიანად ამ ჰიდროტექნიკურ ნაგებობას ქონდა გარკვეული აქტივები, საჭირო ტექნიკა - მოძრავიც და დამონტაჟებულიც ქონდა. თექნიკის გარდა ტერიტორიებიც გააჩნდა. ეს ყველაფერი გაასხვისეს, სამწუხაროდ, და დღეს ვართ ასეთ მდგომარეობაში. 30 მოტორიდან დაახლოებით 24 არ მუშაობს, რამდენიმე დაკარგულიცაა და მთლიანად ტექნიკა განადგურებულია".

მოისწრაფიშვილმა ისიც გვითხრა, რომ ახალმა მთავრობამ დაიწყო ამ პრობლემის შესწავლა: "აუცილებელია, პირველ რიგში ჰიდროტექნიკური ნაგებობების ფუნქციონირება აღდგეს, ანუ მოტორები ამოქმედდეს და დამბებმა გარკვეული ინტენსივობით იმუშაოს. ამისთვის საჭირო თანხის მოძიებაში ვართ, ამასთანავე ქალაქი ამუშავებს გეგმას, როგორ მოხდეს იურიდიულად ამის დარეგულირება იმიტომ, რომ გარკვეული იურიდიული ბარიერები არსებობს. როგორც გითხარით, ხიდი ეკონომიკის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. ნაც მოძრაობამ გააკეთა ის, რომ მთელი სახელმწიფო აქტივები, ქონება ეკონომიკის დაქვემდებარებაში გადაიტანა. გვაქვს ეკონომიკის სამინისტროსთან მიწერ- მოწერა და იმედია, საკითხი მალე დარეგულირდება. რაც შეეხება რიონის არხის გაწმენდას, იდეაში ეს ალბათ უნდა მოხდეს, მაგრამ როგორც სპეციალისტები გვეუბნებიან, ხიდი თუ ამუშავდება სათანადოდ, ეს ავტომატურად გაწმენდს რიონის არხს. ვერ იქნება ეს 100 % გაწმენდილი, მაგრამ ხელს შეუწყობს გაწმენდას და, შესაბამისად, სანაპირო ზოლის გამაგრებასაც. რაც შეეხება ზღვის მიერ წაღებულ ტერიტორიას, 2003 წლიდან დღემდე 36 მეტრია ჩარეცხილი გრეიფრუტის მხარეს, იგივე რაოდენობის მიწის მონაკვეთია მშვიდობის ქუჩის ბოლოშიც. არის ისეთი ადგილები ზღვის სანაპირო ზოლზე, სადაც არც იკლებს და არც იმატებს. სადაც რიონმა უნდა დაიცვას, ის ადგილები წაღებულია. პირველ ეტაპზე ამ არხების გაწმენდა დაარეგულირებს ამ პრობლემებს. გვინდა ეს პრობლემა წელს მოვაგვაროთ, მაგრამ მოგეხსენებათ სურვილი მხოლოდ საქმის ნახევარია, ყველაფერი ფინანსებთანაა დაკავშირებული".

ფოთში მე-7 კილომეტრზე არსებული ხიდი

დავინტერესდით, თუ რამდენად უსაფრთხოა ამ ეტაპზე ხიდზე მოძრაობა. მერის მოადგილის თქმით, სხვადასხვა კვლევებში, 2004 წელს 3 მილიონამდე ლარი დახარჯულა, რასაც არამიზნობრივად დახარჯულად მიიჩნევს. ამბობს, რომ დღეის მდგომარეობით ზუსტი ინფორმაცია არ არსებობს და საკითხს შესწავლა სჭირდება, მანამდე კი ვერც საშიშროებას ამბობს და ვერც საპირისპიროს ამტკიცებს.

სანამ საკითხს შეისწავლიან, იმედია ხიდზე გამვლელ-გამომვლელ ავტომანქანებს და მგზავრებს საშიშროება არ ემუქრებათ.

# ფოთში პროფკავშირის ძალისხმევით ბაღებში დასაქმებულებმა მომატებული ხელფასები მიიღეს

მარი ჯავახია
ფოთი

ფოთის ბაღებში დასაქმებულებმა უკვე მიიღეს მომატებული ხელფასები. მართალია, მაისიდან უნდა მიეღოთ მომატებული ხელფასი, მაგრამ ბაღების გაერთიანებაში შექმნილი ჩვენთვის გაურკვეველი მიზეზის გამო, რატომღაც ერთი თვით შეფერხდა და ბაღებში დასაქმებულების პროტესტიც გამოიწვია. მომატებული ხელფასების მიუღებლობით აღშფოთებულებმა ისევ მიმართეს ქალაქის ხელმძღვანელობას და მერს შეპირებულის შესრულება მოთხოვეს. როგორც შეხვედრისას გაირკვა, ამის შესახებ ინფორმაცია არ ქონდათ ხელისუფლების წარმომადგენლებს და დაპირდნენ მათ საკითხის გარკვევასა და დარეგულირებას. მერის მოადგილემ ნიკოლოზ გრიგოლიამ რამდენიმე დღე ითხოვა ამისთვის და სიტყვა შეასრულა კიდეც - ივნისის პირველივე რიცხვებში ბაღებში დასაქმებულებმა მიიღეს მაისის თვის დანამატიც. როგორც გავარკვიეთ, შემდეგ თვეებში დაბრკოლების გარეშე მიიღებენ მომატებულ ხელფასს.

მერიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას ბაღებში არსებულ არაერთ პრობლემაზე ისაუბრეს თანამშრომლებმა. აღმზრდელების განმარტებით, მათ უწევთ მშობლებისგან სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად თანხების შეგროვება. როგორიცაა ინვენტარის შეძენა, ეზოს მოწესრიგება-მოთიბვა, შეშის დაჩეხვა და სხვა. აღმზრდელების ამ განცხადებას მერიის საფინანსო სამსახურის უფროსმა ვასილ თოდუამ უკანონო უწოდა და მიმართა მათ მსგავსი საქციელისგან თავი შეიკავონ. თოდუას განმარტებით, ყველანაირი თანხის შეგროვება ბაღებში კანონით დაუშვებელია: „თქვენ მხოლოდ დაბადების დღეებისთვის უნდა აგროვებდეთ თანხებს სხვა დაუშვებელია, ეს კანონის დარღვევაა“.

მე-3 ბაღის აღმზრდელ ნინო კულუას თქმით, ბაღში რამდენი ხანია კანალიზაციის პრობლემა ვერა და ვერ მოწესრიგდა. რამდენჯერმე მიმართეს ბაღების გაერთიანებას არსებული პრობლემის მოგვარების თხოვნით, მაგრამ უშედეგოდ. კულუა დაინტერესდა, სად მიდის შესაბამის მუხლში გამოყოფილი თანხები? მის აზრს სხვებიც იზიარებდნენ. ბაღებში დასაქმებულები ხელფასის მოუმატებლობის მიზეზად პროფკავშირებში ყოფნას ასახელებენ, რადგან ეჭვობენ, რომ მათი პროფკავშირებში გაწევრიანება გაერთიანების ხელმძღვანელობას არ მოსწონს. მათი განმარტებით, გაერთიანების წარმომადგენლები ხშირად ეუბნებიან მათ, რა უნდათ პროფკავშირებში და გამოვიდნენ ამ ორგანიზაციიდან.

იმავეს ადასტურებს საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალიაც: „ჩვენი წევრები ხშირად მეუბნებიან, რომ გაერთიანების ხელმძღვანელობას არ აწყობს მათი პროფკავშირებში გაწევრიანება და ეუბნებიან, რომ პროფკავშირი არაფერს გაუკეთებს. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ სურს გაერთიანების ხელმძღვანელობას, თუ ვინმე იზრუნებს მისი თანამშრომლების კეთილდღეობაზე, რატომ არ ჯდება მის ინტერესში თანამშრომლების ხელფასების მატება, მათი დატრენინგება და სხვა სასიკეთო მომსახურება, რასაც პროფკავშირები ყოველგვარი დაფინანსების გარეშე უკეთებს თავის წევრებს“.

როგორც ირკვევა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარის ძალისხმევით, პრობლემა უკვე გადაიჭრა და ბაღებში დასაქმებულები შრომით ხელშეკრულებასთან ერთად, 12 თვის განმავლობაში მიიღებენ ხელფასს. ასევე, მათ ექნებათ დამატებითი ხელფასი წახალისების სახით დეკემბრის თვეში. ხოლო ყოველთვიურ ხელფასს მომატებულად აიღებენ.

# სოციალურად დაუცველი დახმარებას ითხოვს

დასაწყისი პირველი გვერდიდან

ქონდა ერთ ოჯახს ერთი ოთახივით და ავუხსენი ჩემი გასაჭირი, შევეცოდე, მაგრამ მითხრა, ოთახს არც კარი და არც ფანჯარა ქონდა. რა მექნა, სხვა გზა არ მქონდა, ფული ვისესხე გავაკეთე, რაც გასაკეთებელი იყო. კარს ბოქლომი გავუკეთე, რომ თავი დამეზღვია და ვინმე არ შესულიყო. ჩემი იქ არ ყოფნის დროს გაუტეხიათ ჩემი მოკავებული ოთახი და შესულან, თვითნებურად დაუკავებიათ ფართი. მის შესახებ ვის არ მივმართე, პოლიციაც იყო ჩარეული, მაგრამ ამაოდ. არათუ ფართი დავიბრუნე, არამედ ის თანხაც დავკარგე რიტაც რემონტი გავუკეთე. ისევ დავრჩი ქუჩაში და ვარ თავშესაფრის ძიებაში. უსახსრობის გამო რამდენჯერ მშიერი ვარ. სოციალურ დახმარებას კი იმიტომ ვერ ვაკეთებ, არ მაქვს თავშესაფარი, რომ მივუთითო მისამართი. იმედია, ჩემს ამბავს გულთან ახლოს მიიტანთ და დამეხმარებით".

მართალია, დღეს საქართველოში გაჭირვებული ადამიანი არავის უკვირს, მაგრამ ამ ქალბატონის გასაჭირი გულგრილს არავის დატოვებდა. ვცადეთ გაგვერკვია, რატომ ვერ იღებს სოც. დახმარებას იგი. სოციალური დახმარების ფოთის სამსახურის უფროსმა ინგა ღვინჯილიამ ოფიციალური კომენტარისგან თავი შეიკავა იმ მიზეზით, რომ თავად მოქალაქის ნებართვა სჭირდებოდა, თუმცა არაოფიციალურად გვითხრა, რომ ხუბუნაიას მდგომარეობა მათთვის ცნობილია, მაგრამ მოქალაქეს უნდა ქონდეს თავშესაფარი მითითებული, უნდა მოხდეს აღწერა, შეივსოს დეკლარაცია და ამის შემდეგ მოდის ქულები, ენიჭებათ სოციალურად დაუცველის სტატუსი. თუ მოქალაქე შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, უნდა აცნობოს მათ დროულად და ისევ თავიდან უნდა მოხდეს დეკლარაციის შევსება, რა პირობებში ცხოვრობს ესა თუ ის მოქალაქე და პასუხიც შესაბამისი იქნება.

იმედია, ჩვენი რესპოდენტისთვის მალე უკეთესი დღეები დადგება და შესაბამისად საცხოვრებელი პირობებიც მოუგვარდება.

# ხობს დაბინძურებული წყალი მიეწოდება

დასაწყისი 3-გვ.

რუარი დაზიანდა, შაბათ-კვირა უწევდა, მაგრამ ამ ჯერზე შაბათ დღეს შეაკეთეს, თანაც დაზიანებიდან მეორე დღესვე.

„მთავარი თემა სამეგრელოში" მოსახლეობასაც გაესაუბრა. თუმცა, მათ ვინაობის გამხელა არ ისურვეს ერთი ცნობილი მარტივი მიზეზის გამო - „მათი გადაკიდება არ მინდა". თუმცა, ზოგიერთებმა საერთოდ არ ისურვეს კომენტარის გაკეთება.

გურამი: "ფულის გადახდის დაგვიანებას არავინ გაპატიებს. არადა, ისეთი დაბინძურებული წყალი მოდის, დასალევად არ ვარგა და ზოგჯერ არც ოჯახში სახმარად. მოდიან სინჯებს იღებენ, ქლორსაც ვუკეთებთო, ამბობენ მაგრამ რა ეტყობა? არც მომსახურება აქვთ წესიერი, წყლის აღწერაზე რომ დადის ის ქალი, ხან მოვა ხან არა, ზერელედ ჩაწერს და მერე ხან 2 ლარი მოდის თვეში ხან 30, შეიძლება ასე? ჩემი სახელი არ ჩაწერო, იმ ქალის გადაკიდება არ მინდა".

ნანა: „წყალი ზოგჯერ კარგია, მაგრამ ზოგჯერ ძალიან დაბინძურებულია, ვინც აღწერაზე დადის, იმ ქალს 30 ლარი დაუწერია ჩემთვის. როცა გაირკვა, „მერე რა, შეცდომა ვის

დაბინძურებული წყალი ჭიქაში

არ მოსვლიაო" აქეთ დაგვადანაშაულა, ფული, რა თქმა უნდა, არ დამკარგვია, მაგრამ იქნებ მაშინ სულ არ მქონდა ამდენი თანხა გადასახდელად, სხვისი შეცდომის გამო მე რატო უნდა დავზარალდე?

როგორც აღმოჩნდა წყლის დაბინძურების გარდა, სხვა პრობლემებიც გამოიკვეთა. იმედია, ვისაც ხელეწიფება, ამ პრობლემასაც მიხედავს და სასმელი წყლის დალევაც არ შეგვეშინდება.

# ანალოგურიდან ციფრულ მაუწყებლობამდე

R

ჩვენ ყველა მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლას ველოდებით, რაც 2015 წლის 17 ივნისს უნდა დასრულდეს. ეს თითოეულ ოჯახში მიწოდებული სატელევიზიო სიგნალის გაუმჯობესებულ ხარისხს უზრუნველყოფს. პროცესის დასრულებამდე ერთ თვეზე ნაკლები დროა დარჩენილი, თუმცა საქართველოს მოსახლეობას მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ საკმარისი ინფორმაცია მაინც არ აქვს. აღნიშნულ საკითხზე ჩვენი მკითხველებისგან კითხვები მივიღეთ და გადავწყვიტეთ, ყველაზე ხშირად დასმულ რამდენიმე მათგანს ვუპასუხოთ:

-როდის მოხდება მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო ქსელზე გადასვლა და ამის შემდეგ რა შეიცვლება ჩემთვის?

-ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს ცნობით, საქართველოში მიწისზედა ციფრულ სატელევიზიო მაუწყებლობაზე გადასვლა 2015 წლის 17 ივნისს დასრულდება. ეს თარიღი არის ბოლო ვადა, როდესაც ქვეყანაში ანალოგური მიწისზედა სატელევიზიო ქსელი უნდა გაითიშოს. ციფრული სიგნალის მიღება რამდენიმე გზითაა შესაძლებელი: ციფრული მიწისზედა ანტენით, ციფრული კაბელით, ინტერნეტით ან სატელიტით. თუ სატელევიზიო სიგნალს სატელიტის ან ინტერნეტის საშუალებით იღებთ, გაციფრულება თქვენზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან თქვენ უკვე ციფრულ სატელევიზიო სიგნალს იღებთ, ხოლო თუ ანალოგურ მიწისზედა სიგნალს იღებთ, თქვენი გადასაწყვეტია, რა საშუალებას აირჩევთ ციფრული სიგნალის მისაღებად.

-რა განსხვავებაა ანალოგურ და ციფრულ სიგნალს შორის?

-ანალოგური ტელევიზიისგან განსხვავებით, სადაც აუდიო და ვიდეო სიგნალის გადასაცემად მაგნიტური ტალღები გამოიყენება, ციფრული სიგნალი ბაიტების საშუალებით გადაიცემა. შედეგად ვიღებთ ციფრულ ინფორმაციას, რომელსაც კრისტალურად სუფთა გამოსახულება და უმაღლესი ხარისხის ხმა აქვს.

-როგორც ვიცი, ციფრული სიგნალი 17 ივნისამდეც შემიძლია მივიღო. როგორ გავაკეთო ეს?

-დიახ, შეგიძლიათ. ზოგადად, ციფრული სატელევიზიო სიგნალი რამდენიმე საშუალებით და მათ შორის ანტენით, სატელიტის, კაბელის ან ინტერნეტის მეშვეობით გადაიცემა. სატელიტი ციფრული სატელევიზიო სიგნალით მთელ ქვეყანას ფარავს. ასე რომ, ციფრული სიგნალით უკვე შეგიძლიათ ისიამოვნოთ სატელიტით და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებებით. ამისთვის სულაც არაა საჭირო, რომ 17 ივნისს დაელოდოთ.

-გაციფრულების პროცესი მე როგორ შემეხება?

-გაციფრულების პროცესი ძირითადად ეხება ხალხს, რომელიც ანალოგური მიწისზედა სიგნალის მისაღებად ტელევიზორის ანტენას იყენებს. სწორედ ამ მიწისზედა ქსელის გაციფრულება ხდება. მათ მოუწევთ, არჩევანი გააკეთონ, თუ რა გზით მიიღებენ ციფრულ სიგნალს. ხოლო თქვენთვის არაფერი შეიცვლება, თუ უკვე იღებთ ციფრულ სიგნალს, მაგალითად, სატელიტის მეშვეობით.

# ფოთში 400- მდე აბიტურიენტი და პირველკლასელი დარეგისტრირდა

**ეკა კაცია**
**ხობი**

მომავალი სასწავლო წლისთვის პირველკლასელთა რეგისტრაცია უკვე დასრულდა. სრულდება მიმდინარე სასწავლო წელიც. რამდენი პირველკლასელი დარეგისტრირდა და რამდენი აბიტურიენტი ყავს ფოთს, ამის გასარკვევად მივმართეთ რესურსცენტრის ხელმძღვანელს გოჩა ქორქიას. როგორც მან გვითხრა: “წელს მე-12 კლასელებისთვის სასწავლო პროცესი ოფიციალურად 20 მაისს დასრულდა. ფოთში დაახლოებით 400- მდე აბიტურიენტია დარეგისტრირებული, ყველა მათგანი დაშვებულია საატესტატო გამოცდაზე, რომელიც დაიწყო 21 მაისს და დასრულდა 25 მაისს. მოსწავლე, რომელიც გადალახავს მინიმალურ ზღვარს ყველა საგანში და ეს ზღვარია 5,5. დაძლეულად ჩაითვლება და მიეცემა საშუალო განათლების ვიდგინეს სამსამი მოსწავლე. ამ სამიდან ერთი წარდგენილი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის პრემიაზე, მეორე გიორგი გეგეშიძის სახელობის პრემიაზე და მესამე პორტის მიერ დაწესებულ პრემიაზე, ანუ შესაბამისად, ყველა სკოლას ქონდა საშუალება გამოეგზავნათ საუკეთესო მოსწავლეები. 60-ე მოსწავლე დაჯილდოვდება საპატიო სიგელებით, ფულადი პრემიებით და ფასიანი საჩუქრებით. რაც შეეხება ეროვნულ გამოცდებს, 2 ივლისს დაიწყება 22 ივლისის ჩათვლით და საგამოცდო ცენტრი იქნება ფოთის მე- 3 საჯარო სკოლა. დაახლოებით 1000- მდე აბიტურიენტი მიიღებს მონაწილეობას ფოთის საგამოცდო ცენტრში, მათ შორის ჩვენი მეზობელი რაიონებიდანაც იქნებიან. ფოთელი აბიტურიენტი, სავარაუდოდ, 400- მდეა. ამავე პერიოდში, პარალელურად, 15 ივლისიდან 20 ივლისის ჩათვლით ჩატარდება პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები, გამოცდაზე ჩაერთვება 100 პედაგოგი. აბიტურიენტმა თუ ვერ გადალახა ბარიერი, ავტომატურად იხსნება რეგისტრაციიდან. რაც შეეხება პირველკლასელთა რეგისტრაციას 3 ეტაპად მიმდინარეობდა. პირველი ეტაპი გულისხმობდა იმ ბავშვების დარეგისტრირებას, რომელთა დედმამიშვილები სწავლობს იმავე სკოლაში. მეორე საყოველთაო იყო, ყველას შეეძლო დარეგისტრირებულიყო ონლაინ რეჟიმში. მესამე ეტაპი ასეთია - თუ პირველ და მეორე ეტაპზე დარეგისტრირებულებმა სკოლაში დროულად არ წარადგინეს ჩასარიცხი საჭირო დოკუმენტაციები, გაუქმდება. გამოცხადდება ისევ ვაკანსია და, შესაბამისად, მესამე რეგისტრაცია 22 ივნისიდან დაიწყება. პირველი რეგისტრაციის შედეგად სკოლები თითქმის შევსებულია. რაც შეეხება სასკოლო ასაკს, ასაკთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა. ზოგადი განათლების სწავლის დაწყების ასაკად განისაზღვრება 6 წელი. ის მოსწავლე, რომელსაც 6 წელი შეუსრულდება, სწავლის დაწყების დღისთვის, მიიღება სკოლაში. სწავლის დაწყების თარიღია 14 სექტემბერი. რაც შეეხება კერძო სკოლებს, თავისუფალნი არიან თარიღის გადაწყვეტაში. თუ კერძო სკოლა გადაწყვეტს 20 სექტემბერს სწავლის დაწყებას, ესე იგი, 20 სექტემბრის ჩათვლით დაბადებული ბავშვი შეძლებს სკოლაში შესვლას. ამ ეტაპისთვის პირველკლასელები დარეგისტრირებულია. სკოლებს ლიმიტი ქონდათ, რომ მიიღებდნენ 570- მდე მოსწავლეს, დაახლოებით ამ ეტაპისთვის დარეგისტრირებულია 400 მოსწავლე, ანუ ძირითადი ნაწილი დარეგისტერირებულია. რამდენიმე სკოლა ძალიან სწრაფად შეივსო, რადგან მსურველთა რაოდენობა ძალიან დიდი გახლდათ. მშობლები აღშფოთდნენ რადგან ძალიან ბევრმა ვერ მოახერხა დარეგისტრირება შესაბამის სკოლაში. ადგილების რაოდენობა არ ეყოთ, მეტი მოთხოვნები იყო, მაგრამ სკოლა ვერ დააკმაყოფილებდა ყველა მსურველს. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, წელსაც, ჩვეულებრივად, დაურიგდებათ, ბუქებიც (კომპიუტერი) ყველას გადაეცემა. ჩვენ ვმუშაობთ განათლების სამინისტროსთან, რაოდენობის დადგენა მიმდინარეობს, ამიტომაც ვჩქარობთ, დროზე დარეგისტრირებას. რეგისტრაციამ უნდა განსაზღვროს ზუსტად რამდენი ბავშვი შემოვა, ამიტომაც სწრაფ ტემპში მიდის ეს პროცესი”.

ფოთის რესურსცენტრის უფროსი

# მამუკა ჭოხონელიძე: ,,ვინც საქმეს აკეთებს, შეცდომებსაც ის უშვებს,,

**ივეტა პაჭკორია**
**ხობი**

საარჩევნო ბატალიების შემდეგ პოლიტიკური პარტიის წევრებისა და ლიდერების ნახვა რეგიონებში დიდი იშვიათობაა. ხობის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მამუკა ჭოხონელიძე პარტიის წევრებთან ერთად რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრებს მართავს. ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა ხობის რაიონ სოფელ პირველ ხორგაში შედგა, სადაც პირველი ხორგის „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომერედ ნინო მალანია აირჩიეს, საორგანიზაციო ნაწილის თავმჯდომარედ - ირმა გვასალია, ქალთა საბჭოს მდივნად ინეზა სალია, ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელად ნათია არაჩემია.

მამუკა ჭოხონელიძემ მოსახლეობასთან საუბარი საყვედურით დაიწყო: „მოგწონთ დღევანდელობა? საუბედუროდ, ყველაფერი უარესობისკენ მიდის. თუ დროულად არ მოვალთ აზრზე და არ ვიფიქრებთ, რა იქნება ხვალ, 10 მიშა სააკაშვილი რომ მოვიდეს, არაფერს გვიზამს, თუ არ გავიაზრეთ, სხვისი მილიარდები ჩვენ არაფერს მოგვიტანს. ხალხო, დავიჯერეთ, ნუ გავყიდით ამ ბავშვებს ახალი დაპირებების ფასად. ახალმა ხელისუფლებამ ააგორა ჭორი, თითქოს იშლება ნაციონალური მოძრაობა. არაფერიც არ იშლება, პირიქით, ხუთჯერ მეტი კაცი რომ გავიდეს ნაციონალური მოძრაობიდან, ნაციონალური მოძრაობა თავის სათქმელს იტყვის. ჩვენ გვქონდა გადაცდომები, მაგრამ ვინც საქმეს აკეთებს, ის უშვებს შეცდომებს. ჩვენ ვცდილობდით გამოსწორებას, მაგრამ მოვიდა ეს კაცი, რუსმა გამოგზავნა ოლიგარქი, რათა საქართველო თავდაყირა დამდგარიყო. რა დაეტყო ხორგას გაკეთებული ჩვენს შემდეგ? მე არ ვაძაგებ თქვენს კანდიდატს, მაგრამ ცუდი ქენით, რომ ნინო არ აირჩიეთ დეპუტატად”.

მამუკა ჭოხონელიძე მოსახლეობას არსებულ პრობლემებზეც გაესაუბრა. ძირითადად საუბარი სოცილურ დახმარებას შეეხო. შეკრებილთაგან იყვნენ ადამიანები, ვისაც ეს დახმარება მოეხსნათ, აგრეთვე ისეთებიც, ვისაც არ დაენიშნა. ერთ-ერთ ქალბატონს, სამი შვილის დედას არანაირი დახმარება არ ეძლევა და ხობის ნაციონალური მოძრაობის ლიდერი მათ დახმარებას დაპირდა: „ჩვენ ხელში არანაირი ბერკეტები არ გვაქვს, მაგრამ ბრძოლით და ომით შეგვიძლია მივაღწიოთ სიმართლეს. თუ ვინმეს სოციალური დახმარება მოუხსნეს, თუ რამე პრობლემა გაქვთ, განცხადებით მოგვმართეთ, ჩვენ სარჩელს შევიტანთ სასამართლოში და ვიბრძოლებთ, რომ დახმარება აღგიდგეთ. არჩევნები არ არის ხვალ და ზეგ, მაგრამ არჩევნებამდე გვინდა, დავდგეთ ერთად, რომ როგორმე კიდევ ერთხელ ვუთხრათ უარი იმ მმართველობას, რომელიც აგებულია ოჯახურ ინტერესებზე. გაიხსენეთ ერთი მაგალითი, ჩვენ რომელიმე ოჯახის წევრი თუ გვყავდა სამსახურში? ია ჯიშკარიანი ქალთა ორგანიზაციის თავმჯდომარეა, რომლიც თითეული ქალის უფლებებს დაიცავს. ქალებს ბევრი რამ შეგიძლიათ, საქართველო დღეს თუ დგას და დღევანდელ დღემდე თუ მოვიდა, სწორედ ქალებზე, თქვენზე გადაიარა მთელმა სირთულეებმა. თქვენ შეგიძლიათ ახალი მარცვალი ჩააწვეთოთ ოჯახის წევრებს, მეზობლებს, ახლობლებს, რომლებიც დღემდე ფიქრობს, რომ ივანიშვილშია ხსნა”.

შეკრება 2009 წლის ომში დაღუპული გოგა ბერაიას წყაროსთან შედგა. ჭოხონელიძეს არც მათი გახსენება დავიწყებია: „პატივს მივაგებ ყველა იმ ახალგაზრდის ხსოვნას, რომელიც საქართველოსთვის ბრძოლას შეეწირა. ამ მთავრობას გეზი რუსეთისკენ აქვს, როდესაც ჩვენმა თაობამ სიცოცხლე შესწირა თავისუფლებისკენ სწრაფვას. ჩვენ ახლა 2009 წელს რუსების ტყვიას შეწირული ახლგაზრდა გოგა ბერაიას სახელობის წყაროსთან ვართ შეკრებილი, საინტერესოა, რა პასუხს ეუბნებიან გოგას მშობლებს და ათასობით ახალგაზრდის მშობლებს. მე არ მემეტება ჩვენი შვილები ზონდერებისთვის, რაც ჩვენ დროს იყო და არც ის საქართველო მინდა, რაც დღეს არის. ის საქართველო მინდა, ჩემი და თქვენი შვილებისთვის, რომელსაც გოგა და გოგასნაირები შეეწირა. ჩვენ არ მოვდივართ შურისძიებით, შურისმაძიებელი ერი არის დაღუპული. ზვიადი მოვიყვანეთ, ჩვენ დავამხეთ, მოვიდა შევარდნაძე, გაყიდა აფხაზეთი და სამაჩაბლო, უკანასკნელ გზაზე ზალპით გავაცილეთ, ჩვენი გმირები პატივმიუგებლად გაუშვა ხელისუფლებამ უკანასკნელ განსასვენებელში. ასეთი ერი ვართ ჩვენ და რაც ვართ, უნდა ვაღიაროთ”. ივანიშვილის ფულის გარდა, საუბარი ცხრაწლიანი მმართველობის პერიოდში დაშვებულ შეცდომებსაც შეეხო. ჭოხონელიძემ აღნიშნა, ეს არ არის საკამპანიო შეხვედრაო, მაგრამ მთელ ამ საუბარს ლაიტმოტივად მაინც მომავალი არჩევნები და ამ არჩევნებში გამარჯვების დიდი სურვილი გასდევდა. „ივანიშვილის ფული ჩვენ არაფერს მოგვიტანს. რასაც არ დაანგრევს, არ ააშენებს. რაც ცხრა წელი იქმნებოდა, დღეს ნადგურდება და იშლება. მოიშალა სახელმწიფო ინსტიტუციები, სასამართლო სასამართლოს არ გავს და პროკურატურა პროკურატურას. იყო გადაცდომები, თუნდაც პროკურატურას ქონდა უზარმაზარი შეცდომები, ძალოვანებსაც ასევე, მაგრამ ეს იყო რამდენიმე ადამიანის შეცდომა და არა მთელი გუნდის და პარტიისა. თითეული ხობელის ოჯახში შემომესვლება, თვალში ჩამეხედება, არაფერი გამიფუჭებია ხობში, ყოველთვის ვცდილობდი მეკეთებინა სიკეთე და თქვენც დარწმუნდებით ამაში, თუ ერთად დავდგებით. ვინც აქ დგახართ სოფელს კი არა, რაიონს ეყოფით გასამარჯვებლად, თუ მოინდომებთ”.

შეხვედრა პირველი ხორგის მოსახლეობასთან

# ირაკლი ცაავამ ფოთელი მაყურებელი აღაფრთოვანა

ქეთი ჭითავა
ფოთი

ირაკლი ცაავამ ფოთელი მაყურებელი აღაფრთოვანა „ერისიონი“, საიუბილეო წელთან დაკავშირებით, რეგიონებში ტურნეს აგრძელებს

ქართულ ცეკვას მსოფლიოს მერვე საოცრებას უწოდებენ მსოფლიოში. ჩვენი ხალხური კულტურის ასეთ წარმატებას სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „ერისიონმაც“ შეუწყო ხელი, რომლის საკონცერტო პროგრამამ „ქართული ლეგენდა“ არნახული წარმატება და პოპულარობა მოიპოვა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, სადაც აღტაცებული უცხოელი მაყურებელი ფეხზე ამდგარი უკრავდა ტაშს მონარნარე ქალებსა და ჰაერში მფრინავ ვაჟკაცებს.

წელს ანსამბლი „ერისიონი“ 130 წლის იუბილეს აღნიშნავს. იუბილე აქვს „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელს, ამ არაჩვეულებრივი სანახაობის შემქმნელსა და სულისჩამდგმელს - ჯემალ ჭკუასელს, მას 80 წელი შეუსრულდა. ამ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით კონცერტები გაიმართა საქართველოს ქალაქებში. „შინაური“ ტურნე ქუთაისიდან დაიწყო, გუშინ კი განახლებული შოუპროგრამით ანსამბლი ფოთელი მაყურებლის წინაშე წარსდგა.

როგორც ყველგან, ისე ფოთშიც, ანსამბლის კონცერტმა მაყურებლის აღფრთოვანება გამოიწვია. ფოთელებისათვის „ერისიონის“ ასეთ წარმატებას გარკვეული სიამაყის საფუძველიც გააჩნია. საქმე იმაშია, რომ ანსამბლში ერთ-ერთი გამორჩეული მოცეკვავე გახლავთ ფოთელი ირაკლი ცაავა, რომელსაც „ქართული ლეგენდის“ ესოდენ დიდ წარმატებაში საკმაო წვლილი მიუძღვის დახვეწილი და ნიჭიერი გამოსვლით.

კონცერტის ბოლოს ჯემალ ჭკუასელმა განსაკუთრებით ისაუბრა კიდეც ჩვენი ნიჭიერი თანამოქალაქის შესახებ და წარუდგინა იგი ფოთელებს, რასაც დიდი ოვაცია მოყვა.

ჩვენმა გაზეთმა გადაწყვიტა ახლოს გაცნობოდა ირაკლი ცაავას. ჯერ კიდევ 5 წლის ყოფილა, ცეკვის ნიჭი რომ შეუმჩნევიათ მშობლებს და მაშინვე ქალაქში ცნობილ სტუდიაში ახმედ ამბალიასთან მიუყვანიათ. კონცერტის მერე მამას, გოჩა ცაავას გავესაუბრეთ:

„ირაკლის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის როგორც მალხაზ მაკარაძეს, ისე. ახმედ ამბალიას, სწორედ ამ სტუდიაში მოხდა მისი ნიჭის დახვეწა და კარგ მოცეკვავედ ჩამოყალიბება. აქედანვე დაიწყო მისი კარიერა. ანსამბლ „ფაზისში” სულ სოლისტი გახლდათ, ყველა ცეკვაში წამყვან მოცეკვავედ ითვლებოდა. ქორეოგრაფების დამსახურებაა მისი ასეთი მსოფლიო დონის პროფესიონალად ჩამოაყალიბება. 9 წელი დადიოდა სტუდიაში. შემდეგი კარიერისთვის აუცილებელი გახდა მისი თბილისში გადასვლა, რადგან ამ პატარა ქალაქში ამოწურა თავისი შესაძლებლობები. თბილისში ანსამბლ „ერისიონშიც” მაშინვე შეამჩნიეს მისი ნიჭიერება, ერთი წელი ინდივიდუალურ მომზადებას დასჭირდა და სტაჟირების შემდეგ სახელმწიფო ანსამბლ „ერისიონში“ გადაიყვანეს. იქაც წამყვანი სოლისტი იყო და რამდენიმე წელი ცეკვავდა. იმაზე დიდი ემოცია არ არსებობს, რაც მე დღეს ვიგრძენი. ძალიან ამაყი ვარ, რომ დღეს ჩემმა შვილმა ასეთი სიამოვნება მიანიჭა ჩემს ქალაქს თავისი არაჩვეულებრივი ცეკვით. ენით აღუწერელი სიამოვნება იყო, რაც მე დღეს ვიხილე. არასოდეს დამავიწყდება ფოთელი მაყურებლის კმაყოფილი და, მე ვიტყოდი, ამაყი სახეები. მთელი დარბაზი ფეხზე იდგა და ტაშს უკრავდა ირაკლის. გიმეორებთ, ამ ემოციის გამოხატვა სიტყვებით მიჭირს. უბედნიერესი ადამიანი ვარ, შვილის წარმატებაზე დიდი ბედნიერება მშობლისთვის რა შეიძლება იყოს. განსაკუთრებით მაშინ, როცა გამოაცხადეს და თანაქალაქელებს წარუდგინეს ჩემი შვილი ქებით, ეს დაუვიწყარი წუთები გახლდათ ჩემს ცხოვრებაში. კარგად ცეკვავდა, საოცრად ნიჭიერი იყო, მინდოდა, წარმატებული ყოფილიყო თავის საქმეში და მან ნამდვილად გაამართლა ჩემი იმედები. მინდა მუდამ ასეთი წარმატებული იყოს ჩემი ნიჭიერი შვილი“.

კონცერტის მერე ჩვენ ჩვენს წარმატებულ თანაქალაქელსაც ვეწვიეთ. ისიც საკმაოდ ემოციურად დატვირთული და ცოტა დაღლილიც გახლდათ, მაგრამ ინტერვიუზე სიამოვნებით დაგვთანხმდა: „ჩემი შთაბეჭდილებები დიდია. ემოციებით ავივსე. ყოველთვის მინდოდა ჩემი უსაყვარლესი ფოთის და ფოთელების წინაშე წარვმდგარიყავი და ჩემი ცეკვა მიმეძღვნა მათთვის. კონცერტის დაგეგმვის დღიდან ვნერვიულობდი, ორმაგ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, რადგან ქართველი მაყურებლის წინაშე გამოსვლა ხომ თავისთავად დიდი პასუხისმგებლობაა –ქართული ცეკვა ქართველების სული და გულია - და მეორეა, როცა შენს ქალაქში გამოდიხარ, იქ, სადაც დაიბადე და ცეკვის პირველი ნაბიჯები ისწავლე. ბედნიერი ვარ, რომ კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. ანსამბლის ყველა წევრმა მაქსიმუმი გააკეთა და, შესაბამისად, მაყურებელიც კმაყოფილი დარჩა. ძალიან იმოქმედა ჩემზე, ფეხზე წამომდგარი მაყურებელი როგორ გვიკრავდა ტაშს და როგორი კმაყოფილება ეხატათ სახეებზე. ამან გამაბედნიერა. ეს ემოცია ცხოვრების ბოლომდე გამყვება და გამახსენდება“.

კონცერტს ირაკლის მეგობარი ინდირა ფაჩულიაც ესწრებოდა, რომელიც სტუდია „ორნატში” ქორეოგრაფად მუშაობს და აღტაცებული დარჩა მისი ცეკვით: „ბავშვობიდან ვიცნობ ირაკლის. ცეკვაზეც ერთად დავდიოდით 8 წლის განმავლობაში. არ მიკვირს მისი ასეთი წარმატებული გამოსვლა, რადგან ადრეც ნებისმიერ მის სოლო კონცერტს მოყვებოდა მხურვალე აპლოდისმენტები. მე ქორეოგრაფიულში ჩავაბარე, ირაკლი კი „ერისიონში“ წავიდა მოცეკვავედ. ბევრს არ ვიცნობ ირაკლივით შრომისმოყვარე ადამიანს. ბევრი წავიდა ჩვენი სტუდიიდან თბილისში, მაგრამ იმხელა შრომაა ამ საქმეში, რომ ბევრმა ვერ გაუძლო და თავი მიანება ცეკვას. ირაკლი არის ადამიანი, რომელიც შრომობს მიზნის მიღწევამდე, ძალიან მიზანმიმართული, საოცარი და ნიჭიერი პიროვნებაა. იხარჯება ბოლომდე. სტუდიაში ვარჯიშის მერე ინდივიდუალურად ვარჯიშობდა სარკის წინ. მოდიოდა დაცლილი ენერგიისგან, მაგრამ არ მახსოვს, ერთხელ მაინც დაეწუწუნოს, იმდენად უყვარდა საქმე, რომელსაც აკეთებდა. შედეგიც მიიღო. როცა შენი საქმე ძალიან გიყვარს, ყოველთვის გამოდის. დარწმუნებული ვიყავი, რომ ის დიდ წარმატებას მიაღწევდა. დღევანდელმა კონცერტმა ცხადყო, რომ მართალი ვიყავი. ძალიან მეამაყება. ვთვლი, რომ ქართული ცეკვის ასეთი უბადლო შემსრულებელი პოლიტიკოსზე ნაკლებ საქმეს ნამდვილად არ აკეთებს. რა შეედრება იმას, როცა მთელ მსოფლიოს აცნობ შენი ქვეყნის უძველეს არაჩვეულებრივ კულტურას. დღეს აღფრთოვანებული ვარ. პირველ რიგში, როცა ვუყურებ „ერისიონის“ კონცერტს და ჩვენს საოცარ ცეკვებს, მეამაყება რომ ქართველი ვარ. თან როცა შენი საყვარელი ადამიანი, რომლთან ერთადაც გაიზარდე, გამოდის სცენაზე, ეს ორმაგად კი არადა, ასმაგად საამაყოა. სიხარულის, სიამაყის ცრემლები მომდიოდა, როცა ირაკლის გამოსვლას ვუყურებდი. მართლაც, ქართული ცეკვის უბადლო შემსრულებელია, იგი მსოფლიო მნიშვნელობის პროფესიონალია თავისი საქმის. ამ კონცერტით ყველა ბედნიერია და მეამაყება, რომ ირაკლი არის ჩემი მეგობარი და ამ ქალაქის შვილი. ის ყველასგან გამორჩეული და განსაკუთრებულია, ძალიან ერთგული ადამიანიცაა, რომელიც არასოდეს გიღალატებს. ნებისმიერი რამ შეგიძლია უთხრა და ისიც უმალვე გვერდში დაგიდგება მხარდასაჭერად. სხვანაირი არც შეიძლება იყოს ასეთი მოცეკვავე”.

ანსამბლ „ფაზისის” სამხატვრო ხელმძღვანელ ახმედ ამბალიას ირაკლი ცაავას ასეთ მოცეკვავედ ჩამოყალიბებაში საკმაო წვლილი მიუძღვის: „პირველად რომ მოიყვანეს სტუდიაში, პატარა იყო ასაკით და ფიზიკურადაც სუსტი ბავშვი იყო. ცეკვა ძალიან უყვარდა და თანდათანობით კარგად აუწყო ფეხი ყველაფერს. ძალიან ძლიერი, ნიჭიერი და კარგი მოცეკვავე სოლისტი იყო ყველა ცეკვაში. დახვეწილი მანერა ქონდა. გამორჩეული იყო ყველასგან. ამიტომ მინდოდა, მენახა ისეთი ირაკლი ცაავა, როგორიც წარმომედგინა. ამ კონცერტზე ნანახმა კი მოლოდინს გადააჭარბა. ხომ ძლიერი მოცეკვავე იყო და სოლისტი, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასეთი წარმატებული გახდებოდა და გაყვებოდა ქორეოგრაფიას. ამასთან, ძალიან პატიოსანი, განსაკუთრებული და უწყინარი ბავშვი იყო პატარაობიდან. დიდებული და ბრწყინვალე მოცეკვავე და ვაჟკაცი დადგა”.

თავის ემოციებს ვერ მალავდა ირაკლის პირველი პედაგოგი, ანსამბლ „ნორჩი ფაზისელების” ქორეოგრაფი მალხაზ მაკარაძე: „6 წლის პატარა ბიჭი მოიყვანეს მშობლებმა სტუდიაში. რომ გავსინჯეთ, უნიკალური სმენა ქონდა. ილეთი რომ ვაჩვენეთ, უცებ აითვისა და ჩავრიცხეთ პირველ კურსზე. შემდეგ კი ისეთი მონაცემები ქონდა, პირველივე დღიდან მიიქცია ჩვენი ყურადღება. ჩავრიცხეთ „ნორჩ ფაზისელებში“ პატარა სოლისტად. იყო სხარტი, ნიჭიერი, ყურადღებიანი, ცერები ქონდა უნიკალური, ზოგჯერ სახლში ვავარჯიშებდი, რადგან ჯერ პატარა იყო. „ნორჩი ფაზისელიდან“ გადავიდა „ფაზისში“. ყველა ცეკვის სოლისტი გახლდათ. ბრწყინვალე პიროვნებაა, მეგობრული, ძალიან შრომისმოყვარე იყო პატარაობიდანვე. გამუდმებით თავის თავზე მუშაობდა. ჩემს ემოციას ვერ გამოვხატავ ახლა, მთელი კონცერტის განმავლობაში სიხარულის ცრემლები მდიოდა. მის ასეთ წარმატებაში ჩემი წვლილიცაა და სიამაყის გრძნობაც მიპყრობს“.

საკონცერტო დარბაზთან ჩვენი თანაქალაქელები დაშლას არ ჩქარობდნენ. მათ საუბარს ყური დავუგდე. ყველა ერთხმად აღნიშნავდა ანსამბლის გამოსვლაზე, ემოციებს უზიარებდნენ ერთმანეთს უცნობებიც კი. განსაკუთრებული აღფრთოვანებით კი ირაკლიზე საუბრობდნენ.

გვინდა ჩვენი გაზეთისა და ჩვენი თანაქალაქელების სახელით კიდევ უფრო მეტი წარმატება ვუსურვოთ ირაკლი ცაავას, რათა ქართული ცეკვის თავისი უბადლო შესრულებით მომავალშიც მიანიჭოს სიამოვნება ხალხს.

# ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲡᲐᲤᲣᲚᲔ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲤᲣᲚᲡ - ᲠᲕᲐ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲡᲗᲕᲘᲡ

როგორი საფულე "იზიდავს" ფულს - რვა ოქროს რჩევა ბარაქისთვის
შესაძლოა ბევრმა თქვენგანმა არც კი იცის, რომ სხვა გარემო ფაქტორებთან ერთად სიღარიბის მიზეზებს ხშირად არასწორად შერჩეული საფულე განაპირობებს. როგორც ეზოთერიკოსებს მიაჩნიათ, სწორად შერჩეული საფულე კარგი მატერიალური შემოსავლის საწინდარია. ფერი, ფორმა, მასალა და სხვა ნიუანსები რომლის მიხედვითაც საფულეს არჩევთ განაპირობებს იმას, თუ რა ოდენობის თანხას გამოიმეტებს თქვენთვის კოსმოსი... ასე რომ დადგა დრო ძველი საფულე ახლით ჩაანაცვლოთ და მოემზადოთ უფრო მეტი შემოსავლის მისაღებად!

1. ფერის შერჩევა - ე.წ. "სიმდიდრის ფერები"

ფენ-შუის მიხედვით არსებობს ტონალობები, რომელიც ფულსა და სიმდიდრეს იზიდავს. ესენია: ყვითელი და ყვითლის ყველა ელფერი, შავი, ყავისფერი, ზოგადად მიწის და ნებისმიერი მეტალის ფერი, ოქროსფერი და ვერცხლისფერი. ნაკლებად შეაჩერეთ არჩევანი შემდეგ ტონალობებზე: წყლის ფერი (ლურჯი, ღია ცისფერი, მომწვანო-შაბიამნისფერი), წითელი ან ნარინჯისფერი. ამგვარი საფულიდან ფული მომენტალურად "ქრება".

2. ფორმა

საფულე აუცილებლად უნდა იყოს ტევადი. სასურველია ჰქონდეს რამდენიმე შიდა ჯიბე, მათ შორის ყველა დიდი ჯიბე მსხვილი კუპიურების ჩასადებათ. თუ თქვენ საფულეში მსხვილი კუპიურის მოკეცილად ჩადება გიწევთ, ე.ი. ამგავრ კუპიურებს იშვიათად გამოგიგზავნით კოსმოსი!
აუცილებელია ცალ-ცალკე გქონდეთ ხურდის და მსხვილი ფულისთვის განკუთვნილი განყოფილება. ერთმანეთში ნურასოდეს აურევთ ამ ორს! წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი შემოსავალი სტაბილურად მზარდი ვერასოდეს იქნება.

3. მასალა და ფაქტურა.

სასურველია საფულე ბუნებრივი მასალისგან იყოს დამზადებული. ამისთვის ხავერდი ან სუფთა ტყავი გამოგადგებათ. ამგვარი მასალა ფულს საუკეთესოდ იზიდავს თქვენკენ. ნუ ატარებთ საფულეს ხელოვნური ტყავისგან, იმიტომ რომ მათი ხელოვნურობა სამომავლოდ ფინანსების მხრივ ერთი შეხედვით პერსპექტიულ, მაგრამ საბოლოო ჯამში არაფრის მომცემ შემოთავაზებებს გააქტიურებს თქვენს ცხოვრებაში.

4. დიაზაინი

რა საქმიანობითაც არ უნდა იყოთ დაკავებული, აუცილებლად იქონიეთ რესპექტაბელური ვიზუალის მქონე საფულე. ბავშვური ნახატებით ან აპლიკაციებით გაფორმებული, "არასერიოზული" საფულე ვერ მოიტანს თქვენთან დიდ ფინანსებს, ამიტომ მოგიწევთ როგორც პატარაობაში, "წვრილი ფულით" დაკმაყოფილდეთ.

5. რა უნდა ვატაროთ საფულით ფულთან ერთად..

არსებობს ე.წ, "ფულის მომზიდველი" ჩინური ამულეტი, რომელიც ერთმანეთზე გადაბმული სამი მონეტისგან შედგება. მართალია ამგვარი ამულეტის ყიდვა ეზოთერულ მაღაზიებშიც შეიძლება, გამზადებული სახით, მაგრამ აჯობებს, თავად დაამზადოთ იგი და საფულით ატაროთ მუდამ, ფულთან ერთად. კიდევ ერთი სასარგებლო ამულეტია საფულის ჯიბეში ყურძნის, მწვანე ჩაის ან პიტნის გამოსახულებით ფოტოს ან ნახატის ტარება. ამ მცენარეებს გააჩნიათ უნარი საკმაოდ სოლიდური თანხა მოიზიდონ თქვენკენ.
ასევე კარგია თუკი საფულით ატარებთ სიმბოლურად ერთ დოლარიან კუპიურას, რომელიც არასოდეს არ უნდა დახარჯოთ. ეს კუპიურა იზრუნებს იმაზე, რომ თქვენი საფულისკენ თანამოძმეები აქტიურად მოიზიდოს.

6. როგორი უნდა იყოს ფულის განლაგება საფულეში

ფული საფულეში იერარქიული პრინციპით უნდა განლაგდეს. ჯერ მსხვილი, შემდგომში კი წვრილი კუპიურები.
არასოდეს ამოასუფთავოთ პირწმინდად საფულე! დატოვეთ თუნდაც ხურდა ფული მასში.
სასურველია, საფულით ატაროთ ე.წ. "ბედნიერი მონეტა" - პირველი ხელფასიდან, საუკეთესო მეგობრის მიერ ნაჩუქარი ან წარმატებული საქმიანობიდან შემორჩენილი კუპიურა ან ხურდა ფული. გახსოვდეთ, ლატარიაში ან აზარტულ თამაშებში მოგებული, ნაპოვნი ან არცთუ პატიოსანი გზით ნაშოვნი ფული რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიხარჯოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი თანხა, თქვენს სამომავლო შემოსავალსაც "დაავადებს" და ვერასოდეს გამოისწორებთ ფინანსურ მდგომარეობას.
ფული უნდა გიყვარდეთ და მათ პატივისცემით ეპყრობოდეთ. ამიტომ ნებისმიერი კუპიურა კარგად უნდა გაასწოროთ საფულეში მოთავსების წინ. დჭმუჭნულ-ჩაკუჭულ ფულს ბედნიერება არ მოაქვს. აუცილებლად გაათავისუფლეთ საფულე სხვადასხვა ტიპის ხარახურისგან - ფული არ მოდის იმ საფულეში, რომელიც სავსეა ძველი ქვითრებით, ქაღალდზე მიწერილი ტელეფონის ნომრებით და სხვა ტიპის უსარგებლო რამე-რუმეებით.

7. რა არ უნდა ვატაროთ საფულით

აუცილებლად გადაეჩვიეთ საფულით ოჯახის წევრებისა და ახლობელი ადამიანების სურათების ტარებას! ჯერ ერთი, ეს ფინანსურ ნაკადს ბლოკავს თქვენკენ, მეორეც თავად ფულის ენერგეტიკა იმოქმედებს იმ ადამიანებზე ვის ფოტოებსაც ატარებთ. რაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან ენერგეტიკული ბალანსის დარღვევის მაგალითზე შეიძლება გამოვლინდეს.

8. როდის უნდა შევცვალოთ საფულე

თუკი საფულემ ე.წ. "პეწი" დაკარგა, გაიხა, გაუფუჭდა ელვა-შესაკრავი, გაჩნდა ნახვრეტი რომელიმე ჯიბეში - ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ მალე შესაძლოა თქვენი მატერიალური შემოსავალი განახევრდეს. გახსოვდეთ, ხარვეზებში ფული მიედინება უმისამართოდ და თან მიაქვს თქვენი ბარაქა! აუცილებლად შეიძინეთ ახალი საფულე, ხოლო ძველს დაუნანებლად გადაუძახეთ სანაგვე ყუთში. მისი შენახვა თუნდაც სასიამოვნო რელიქვიის სახით (ვთქვათ იგი ახლო მეგობარმა ან საყვარელმა ადამიანმა გაჩუქათ) კატეგორიულად იკრძალება!

## ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲡᲐᲮᲘᲡ ᲡᲘᲗᲔᲗᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

შეურიეთ ერთმანეთში შვრია, სიმინდის ფქვილი და ლიმონი. დაამატეთ ცოტა წყალი და გააჩერეთ ეს მასა 20 წუთის განმავლობაში, ოთახის ტემპერატურაზე. ამასობაში, მოამზადეთ თქვენი სახე ნიღბის დასადებად - დაიბანეთ, სათანადოდ გაიმშრალეთ და ხელის ფრთხილი მოძრაობით წაისვით მომზადებული მასა. ეს ნიღაბი საოცრად გაგისუფთავებთ, გაგითეთრებთ და გაგილამაზებთ სახეს!
სილამაზეს გისურვებთ

## ᲜᲘᲦᲐᲑᲘ ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ

კვერცხის ცილის ნიღაბი გატეხეთ კვერცხი და დააცალკევეთ ცილა და გული. წინასწარ საგანგებოდ გასუფთავებულ და მშრალ სახეზე წაისვით კვერცხის ცილა და გაიჩერეთ 15-30 წუთი. შემდეგ კი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. კვერცხის ცილის და თაფლის ნიღაბი დააცალკევეთ კვერცხის გული და ცილა. ათქვიფეთ ცილა ერთ კოვზ თაფლთან ერთად. წაისვით წინასწარ გასუფთავებულ და მშრალ სახეზე. გაიჩერეთ 20 წუთი. ჩამოიბანეთ თბილი წყლით. ამ ნიღბის გაკეთება კარგია კვირაში ერთხელ მაინც, თუ გინდათ, რომ თქვენი სახის კანი ჯანსაღი, მბზინავი და შავი წერტილებისგან თავისუფალი იყოს.

## ᲛᲐᲘᲝᲜᲔᲖᲘ ᲗᲛᲐᲡ ᲐᲯᲐᲜᲡᲐᲚᲔᲑᲡ

მაიონეზი გიყვართ და არაფრით ეთანხმებით იმ აზრს რომ ეს პროდუქტი მავნეა ორგანიზმისთვის?..დასამშვიდებლად გეტყვით, რომ მაიონეზი უდავოდ სასარგებლოა თქვენი თმისთვის, მითუმეტეს თუ ის ზამთრის სიცივისგან ან ხშირი ღებვისგან გამომშრალი და დაზიანებულია...მაიონეზის ნიღაბი , რომლის რეცეპტსაც ახლა გაგიმხელთ ნებისმიერი ტიპის თმას მოუხდება, თუმცა ნორმალური და ცხიმიანი თმის მქონე თავზე ის მხოლოდ ორ თვეში ერთხელ უნდა დაიდოთ...
ნიღბის მოზმადება ძალიან ადვილია, დაგჭირდებათ:
ერთი ქილა ზეთისხილიანი მაიონეზი;
ერთი კვერცხის გული;
ერთი ცალი ერთჯერადი ცელოფანი;
თბილი პირსახოცი;
1. კარგად დაივარცხნეთ დასაბანი თმა და გაყავით ის რამდენიმე ნაწილად.
2. პატარა ჯამში ათქვიფეთ ზეთისხილიანი მაიონეზი და კვერცხის გული.
3. საგანგებოდ შეიზილეთ მიღებული მასა ჯერ თმის ძირებში, შემდეგ კი მთელ სიგრძეზე.
4. აიკეცეთ თმა და მჭიდროდ შემოიხვიეთ ერთჯერადი ცელოფანი.
5. ცელოფნის შემდეგ, თავზე მოიხვიეთ თბილი პირსახოცი.
6. ნიღბის ჩამობანა გრილი წყლით დაიწყეთ შემდეგ კი ჩვეული ტემპერატურის წყლით და შამპუნით დაიბანეთ.
მშრალი თმის შემთხვევაში, რეკომენდირებულია ამ ნიღბის მაქსიმალურად დიდი დროით გაჩერება. ნორმალური თმიდან ნიღაბი ორ საათში უნდა ჩამოიბანოთ. ცხიმიან თმაზე კი ერთ საათზე დიდხანს არ გაიჩეროთ.

## ᲛᲝᲕᲚᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲐ

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ხელები ქალისთვის ერთ-ერთი საავიზიტო ბარათია. თითქმის ყველა ჩვენგანი ოცნებობს ნაზ კანსა და ნატიფ თითებზე... ლამაზ ხელებს განსაკუთრებული მოვლა და ყურადღება სჭირდება. მითუმეტეს თუ გავითვალისწინებთ რამდენი საოჯახო ან სამსახურის საქმის შესრულება გვიწევს, ყოველდღიურად...ბაქტერიების ყველაზე დიდი რაოდენობაც სწორედ ხელებზე, განსაკუთრებით კი ფრჩხილებში იყრის თავს. ფრჩხილებთან დაკავშირებით, უამრავი სხვა საზრუნავიც გვაქვს: ჯანმრთელი ფრჩხილები უნდა იყოს მკვრივი, ელასტიური და ვარდისფერი. ხშირად ფრჩხილების დაზიანება ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემაზეც მიგვითითებს. ფერის ცვალებადობა შესაძლოა გამოიწვიოს საკვებმა, არასწორმა მოვლამ ან რომელიმე კონკრეტულმა საქმიანობამ. აუცილებელია ფრჩხილების ვიტამინებით მუდმივი კვება.
ვიტამინი — საჭიროა ფრჩხილის ზრდისა და სიმაგრისთვის. მას შეიცავს ღვიძლი, მწვანილი, პომიდორი, სტაფილო.
ვიტამინი — ეხმარება ცილების გამომუშავებასა და ზრდაში. ის ბლომად გვხვდება კომბოსტოში, კვერცხის გულსა და ხორბალში. იოდი - სასარგებლოა ფრჩხილის ზრდისათვის. მას შეიცავს შპინატი და ზღვის კომბოსტო.
კალცი - უზრუნველყოფს რჩხილების სიმაგრეს. ბლომად გვხვდება რძის პროდუქტში.
მანიკურის გაკეთება რეკომენდირებულია ორ კვირაში ერთხელ. არ არის სასურველი მუდამ ლაქიანი ფრჩხილების ქონა. კარგი იქნება პერიოდულად თუ დაასვენებთ ორ-ორი დღით. ფრჩხილებიდან სიყვითლის მოშორება ლიმნის პატარა ნაჭრებით შეგიძლიათ. ის იმავდროულად გაგიმაგრებთ სტრუქტურას. ზეითუნის ზეთში აურიეთ ლიმნის რამდენიმე წვეთი და გაუკეთეთ თქვენს ფრჩხილებს 10-20 წუთიანი აბაზანა. ეს დაგეხმარებათ მათ გამაგრებაში. ხელები რომ არ გაგიუხეშდეთ და გამოგიშრეთ ნუ დაიბანთ მათ ზედმეტად ცხელი ან ცივი წყლით. ხელის კანის სირბილისა და ელასტიურობისათვის შეგიძლიათ ჩაიტაროთ შემდეგი აბაზანები: 2 ლიტრა თბილ წყალში გახსენით 1 ჩაის კოვზი ნიშადურის სპირტი ან 1 სუფრის კოვზი გლიცერინი. პროცედურის ხანგრძლივობაა 15–30 წუთამდე და შეგიძლიათ გაიმეოროთ 10-15 დღის განმავლობაში, ყოველდღიურად. ხელახალი კურსის დაწყება ერთი თვის შემდეგაა სასურველი. ჯანმრთელ ხელებს და სილამაზეს გისურვებთ!

# გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„

## აცხადებს კონკურსს „ნელინაღის გამყიდველი„-ს სახელზე

კონკურსში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა ყველა გამყიდველმა, რომლის მაღაზიაშიც იყიდება გაზეთი. კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა და დაჯილდოება გაიმართება რედაქციაში საზეიმო ვითარებაში.

კონკურსში მონაწილეობა შეეძლება ყველა გამყიდველს რომლის მაღაზიაშიც გაიყიდება გაზეთი.

რედაქციას შეუძლია შესთავაზოს გამყიდველს მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, შეიძლება მკითხველებმა მიაღებინონ მონაწილეობა ან გამყიდველი თვითონ ღებულობს მონაწილეობას გაზეთის მიერ გამოცხადებულ კონკურსში.

1. ხმის მიცემა მოხდება გაზეთში დაბეჭდილი კუპონების მეშვეობით.
2. მკითხველს შეუძლია მისცეს ხმების ნებისმიერი რაოდენობა ერთ ან რამდენიმე გამყიდველს. არსებობს მხოლოდ ერთი პირობა – ხმის მიცემა შეიძლება მხოლოდ გაზეთიდან გამოჭრილ კუპონზე (ქსეროქსზე გადაღებული კუპონები კონკურსში მონაწილეობას არ ღებულობენ)
3. თვეში ერთხელ ამოირჩევა – თვის საუკეთესო გამყიდველი, რომელიც მიიღებს ჯილდოს-სიუპრიზს. თვეში ერთხელ ჯილდოს მიიღებს აგრეთვე ხმის მიმცემიც.
4. წლის ბოლოს კი დასახელდება ნელინაღის გამყიდველი, რომელიც მიიღებს მნიშვნელოვან საჩუქარს.
5. ხმის მიცემა შეუძლია ყველა მკითხველს. თითოეულს შეუძლია შეავსოს გაზეთიდან ამოჭრილი კუპონების ნებისმიერი რაოდენობა. კუპონები შეიძლება გაიგზავნოს ან მოიტანონ რედაქციაში, ან შეიძლება მოიტანონ მაღაზიაში, რომელშიც იყიდება გაზეთი. მაღაზიიდან კუპონებს ღებულობს რედაქციის თანამშრომელი.

კონკურსი ცხადება ასევე ერთგული მკითხველი-ის სახელზე, წლის ბოლოს დაჯილდოვდება ის მკითხველი, რომელიც რედაქციაში გაზეთის ყველა ნომერს წარმოადგენს.

# გახსენება

## დედა

## დუნია რურუა-ჯაბელია



დღეს ორი წელი გასრულდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ. ძნელია უშენობა. უკვდავი გვეგონე, გვენატრები. წუთი არ არის, არ გვახსოვდე. „დედაზე ტკბილი და საყვარელი არაფერია ამ ქვეყანაზე“. ყველას თავისი დედა უყვარს, მაგრამ შენ მარტო ჩვენი კი არა, ყველას დედა იყავი, ამიტომაც ყველა დედას გეძახდა, სითბოს არავისთვის იშურებდი, ყველას ჭირისა და ლხინის გამზიარებელი იყავი. მშვიდად განისვენე. გვჯერა, ზეციური საქართველოდან გვლოცავ, მადლობა, რომ ჩვენი მშობელი იყავი ჩვენ მუდამ გვემახსოვრება შენი ჭაღარა თმები, თბილი ღიმილი და ის სიყვარული, რაც დაგვიტოვე. გეფერებით და გჯეროდეს, მუდამ გვახსოვხარ და გვიყვარხარ, გვენატრები ჩვენო უზომოდ კეთილო, ტბილო დედა.

კაკო ჯაბელიას ოჯახი.

# კუპონი №10

მთავარი თემა სამეგრელოში

გამყიდველის მთავარი პრიზი - - - - - - - - - - - -

ხმის მიმცემის პრიზი - - - - - - - - - - - - - - - - -

1. ----------
2. ----------
3. ----------
4. ----------
5. ----------

ხმის მომცემის სახელი და გვარი ----------

მისამართი: ----------

ტელ: ----------

ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2, 0 492 22 40 50


**გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!**

ერთი ნომრის ღირებულება
ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის
გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

*იკითხეთ გაზეთი* მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში” სამუშაოდ იწვევს სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში” სტაჟირებაგე იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაჟიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ “მთავარი თემა სამეგრელოში“ შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები, რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები, მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი, მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი, ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი; მეოთხედი (250სმ2)- 37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე, ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.